სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2018 წლის სამოქმედო გეგმის ერთწლიანი პროგრესის ანგარიშის პრეზენტაცია

საანგარიშო წლის პერიოდში (2017-2018) შემუშავებული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სასამართლო სისტემის რეფორმისთვის სამუშაო ჯგუფებმა საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეასრულეს მნიშვნელოვანი აქტივობები. შესრულებული სამუშაოს შესახებ შედგა პროგრეს ანგარიში, რომლის მიზანია სტრატეგიის შესრულების კუთხით არსებული მდგომარეობის გაცნობა საზოგადოებისთვის:

- 2017 წელს საკონსტიტუციო ცვლილებებით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის კუთხით, დადგინდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის გარანტიები ყველა ინსტანციის სასამართლოში, მათ შორის, საქართველოს უზენაეს სასამართლოშიც და განისაზღვრა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში.

- სასამართლოს რეფორმის ე.წ. მესამე ტალღის ფარგლებში სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის კუთხით დარეგულირდა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი და კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურები.

- შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი. იზრდება მისი საკანონმდებლო გარანტიები.მას მიეცა დამოუკიდებელი დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობა. სამსახურს ვებგვერდზე ექვსთვიანი შესრულებული სამუშაოს ანგარიშის გამოქვეყნების ვალდებულება აქვს.

- სასამართლოში საქმეთა გაჭიანურების, ჭარბი ნაკადის და სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებით სასამართლოებში ჩამოყალიბდა ვიწრო სპეციალიზაციები და გაიზარდა დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობა.

ამასთან, სასამართლო დარბაზების პრობლემის მოსაგვარებლად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისთვის მიმდინარეობს ფლიგელის მშენებლობა.

- 2017 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოს მასშტაბით საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა ამოქმედდა. ექვსი თვის განმავლობაში (30 ივნისის ჩათვლით) აღნიშნული სისტემის მეშვეობით, სულ 136 348 საქმისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განაწილება მოხდა. საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა უზრუნველყოფს საქმეთა შემთხვევითი პრინციპით გადანაწილებას და გადანაწილების პროცესის მაქსიმალურ დაცულობას.

- სასამართლო სისტემის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ექსპერტის დახმარებით შემუშავდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018-2019 წლების მედიაციის საკომუნიკაციო სტრატეგია. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გაძლიერების მიზნით 2017-2018 წლებში უკვე ჩატარდა 4 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 104 პირი.
- ამოქმედდა სპეციალიზებული, ევროპული სტანდარტების შესაბამისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

- გაფართოვდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოყენების გეოგრაფიული და საკანონმდებლო არეალი. ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით 2017 წელს განხორციელდა ნაფიც მსაჯულთა საქმეების განმხილველი მოსამართლეების ორი სასწავლო ვიზიტი აშშ-ის ჯორჯიას შტატში. ყველა სასამართლო, სადაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი შეიქმნა , აღიჭურვა სათანადო ინფრასტრუქტურით.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებებს დაემატა შ.შ.მ. პირთათვის ადაპტირების სამოქმედო გეგმისა და პროცესის მონაწილეებთან მუშაობის სტანდარტებისა და მეთოდიკის შემუშავება. საერთო სასამართლოების დეპარტამენტს კი დაევალა სასამართლოებში შ.შ.მ. პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ადაპტირებული სერვისებისა და პროგრამების შეთავაზების უზრუნველყოფა.

2018 წლის პრიორიტეტულ მიმართულებად განიხილება შ.შ.მ. პირებისათვის ადაპტირებული ვებ-პორტალის შექმნა.

სასამართლო სისტემამ 2017 – 2021 წლის სტრატეგია და 2-წლიანი სამოქმედო გეგმა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის მიხედვით შეიმუშავა.